განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი 10 აგვისტო 2022 წელი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ეკონომიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორონატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ეკონომიკის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0311 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>05.12.2018, №187 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა წარმოდგენილია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის დადგენისთვის. პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტებულია 05.12.2018 წლის, №187 ბრძანებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად მოხდა პროგრამის შედეგების და სილაბუსების მოდიფიცირება თუმცა არა არსებითად, რადგან მხოლოდ მოხდა ფორმულირებების შეიცვლა მოთხოვნებიდან გამომდინარე. შედეგები ჩამოყალიბდა ახალი კლასიფიკატორის დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად. ამასთანავე შედეგები გაიწერა ისეთი ფორმულირებით, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს მათი მიღწევადობის გაზომვას. ამასთანავე სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

სადოქტორო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). პროგრამის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი) და კვლევით კომპონენტს, რომელიც სრულდება არანაკლებ 2 წელში (4 აკადემიური სემესტრი).

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას. სასწავლო კვირა მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. სემესტრი შეიძლება მოიცავდეს 2 (ინტენსიური სწავლების რეჟიმის შემთხვევაში) ან 16 კალენდარულ კვირიან პერიოდს. სემესტრში სასწავლო კვირათა რაოდენობა დგინდება ყველა მიღებისთვის ინდივიდუალურად.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო სემინარებს, მეთოდოლოგიურ საგნებს (34 ECTS კრედიტი), არჩევით სემინარს (6 ECTS კრედიტი) და სწავლება-ასისტენტობის კომპონენტს (20 ECTS კრედიტი). პროგრამაში წარმოდგენილია ორი არჩევითი სემინარი, რომელთაგან დოქტორანტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დისერტაციის სახით. დოქტორანტი დისერტაციის დაცვამდე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში (წარადგინოს საკონფერენციო ნაშრომი პირადად) სადისერტაციო თემატიკის

მიმართულებით. დისერტაციის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა დოქტორანტის მიერ საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდგომ დოქტორანტი ვალდებულია, წარმოადგინოს სემესტრული ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ, წინასწარ დადგენილი ფორმის შესაბამისად.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა მოხდა მხოლოდ თვითშეფასებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. ამასთანავე მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა. ადგილზე ვიზიტი არ განხორციელებულა.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტს შეესაბამება სრულად, რადგან ყველა სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია გარდა 2.3 ქვესტანდარტისა, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

- მიზანშეწონილია დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვოს საერთაშირისო პუბლიკაციის გაკეთება კვლევით გამოცემებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია გადაიხედოს პროგრამის მიზნები, კონკრეტულად წარმოდგენილი მიზნებიდან მოხდეს მიზნის, „პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში“, მოდიფიცირება რადგან შედეგებში არ არის გამიჯნული მაკრო და მიკრო ეკონომიკის პროცესები, აქედან კი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაკროეკონომიკის მკვლევარის მომზადება ხდება თუმცა მან მიკრო ანალიზიც იცის.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

♣ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

პროგრამის მიზნებში იკვეთება ეკონომიკის დოქტორის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადების საკითხები.

პროგრამის მიზნებია:

- პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები დაგეგმოს და ჩაატროს დამოუკიდებელი კვლევა ეკონომიკის მიმართულებით.
- პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში.
- პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულმა შეძლოს ინტელექტუალურ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა აკადემიური ნამუშევრის ანალიზი და შეფასება.

  პროგრამის მიზანია დოქტორანტი იცნობდეს კვლევის ეთიკურ ნორმებს და იყოს ჩართული პროფესიულ საქმიანობაში.

პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებულია სფეროს განვითარების ტენდენციები, საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

წარმოდგენილი მიზნებიდან სასურველია მოხდეს მიზნის „პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში“ მოდიფიცირება რადგან შედეგებში არ არის გამიჯნული მაკრო და მიკრო

ეკონომიკის პროცესები, აქედან კი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაკროეკონომიკის მკვლევარის მომზადება ხდება თუმცა მან მიკრო ანალიზიც იცის.

წარმოდგენილი თვითშეფასების საფუძველზე დგინდება, რომ მიზნების მოდიფიცირება არ პროგრამაში წარმოდგენილი მიზნები ასახავს, ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გადაიხედოს პროგრამის მიზნები, კონკრეტულად წარმოდგენილი მიზნებიდან მოხდეს მიზნის, „პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში", მოდიფიცირება რადგან შედეგებში არ არის გამიჯნული მაკრო და მიკრო ეკონომიკის პროცესები, აქედან კი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაკროეკონომიკის მკვლევარის მომზადება ხდება თუმცა მან მიკრო ანალიზიც იცის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადქოტორ პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეიცვალა ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები, თუმცა არა არსებითად, რადგან მხოლოდ მოხდა ფორმულირებების შეიცვლა მოთხოვნებიდან გამომდინარე. პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდა ახალი კლასიფიკატორის დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად. ამასთანავე შედეგები გაიწერა ისეთი ფორმულირებით, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს მათი მიღწევადობის გაზომვადობას. ამასთანავე სწავლის შედეგი ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

**პროგრამის შედეგებია:**

1. კურსდამთავრებული იყენებს ეკონომიკის დარგში არსებულ თეორიულ, ანალიტიკურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას აწარმოოს საპუბლიკაციო დონის კვლევა. კურსდამთავრებული ეფექტურად ეცნობა ეკონომიკის დარგში არსებულ უახლეს მიღწევებსა და გამოწვევებს.
2. კურსდამთავრებული დამოუკიდებლად აყალიბებს საკვლევ თემებს, იყენებს თეორიულ და ემპირიულ მეთოდებს ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს. კურსდამთავრებული ეფექტურად იყენებს ეკონომიკური ანალიზის უნარს ცხოვრებისეულ სიტუაციებში ეკონომიკური საკითხებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გასაანალიზებლად.
3. კურსდამთავრებული კრიტიკულად აანალიზებს არსებულ ეკონომიკურ ლიტერატურას, ამოიცნობს შესაძლო გამოწვევებს და იყენებს ამ ინფორმაციას სადისკუსიო და საკვლევი საკითხის წამოსაჭრელად.
4. კურსდამთავრებული წარმატებულად წარადგენს საკუთარ კვლევას სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით.
5. კურსდამთავრებული ეფექტურად მონაწილეობს უცხო ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატურ პოლემიკაში.
6. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული ავითარებს ახალ მიგნებებსა და იდეებს.
   კურსდამთავრებული წარმატებით იყენებს მიღებულ ცოდნას ცხოვრებისეული ეკონომიკური სიტუაციების ანალიზისთვის.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც დოქტორანტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა
თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:<br>- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. აპლიკანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.<br>- მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ან ეკონომიკის სკოლის ინგლისური ენის მისაღები გამოცდის მინიმუმ B2 დონეზე ჩაბარება;<br>- კავკასიის ეკონომიკის სკოლის მისაღები გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში;<br>- სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე კვლევითი ინტერესის შესახებ;<br>- ორი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე) ეკონომიკის სკოლის მიმღები კომისიის სახელზე;<br>- კავკასიის ეკონომიკის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.<br><br>აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

⎞ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა.

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში ასახულია პროგრამის მხოლოდ სავალდებულო კომპონენტების შესაბამისი შინაარსი.<br>სადოქტორო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). პროგრამის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი) და კვლევით კომპონენტს, რომელიც სრულდება არანაკლებ 2 წელში (4 აკადემიური სემესტრი).<br>სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას. სასწავლო კვირა მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. სემესტრი შეიძლება მოიცავდეს 2 (ინტენსიური სწავლების რეჟიმის შემთხვევაში) ან 16 კალენდარულ კვირიან პერიოდს. სემესტრში სასწავლო კვირათა რაოდენობა დგინდება ყველა მიღებისთვის ინდივიდუალურად.<br><br>ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო სემინარებს, მეთოდოლოგიურ საგნებს (34 ECTS კრედიტი), არჩევით სემინარს (6 ECTS კრედიტი) და სწავლება-ასისტენტობის კომპონენტს (20 ECTS კრედიტი). პროგრამაში წარმოდგენილია ორი არჩევითი სემინარი, რომელთაგან დოქტორანტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დისერტაციის სახით. დოქტორანტი დისერტაციის დაცვამდე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში (წარადგინოს საკონფერენციო ნაშრომი პირადად) სადისერტაციო თემატიკის მიმართულებით. დისერტაციის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა დოქტორანტის მიერ საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდგომ დოქტორანტი ვალდებულია, წარმოადგინოს სემესტრული ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ, წინასწარ დადგენილი ფორმის შესაბამისად.<br>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს |

| |
|---|
| შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br>ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა<br>პროგრამის სილაბუსები<br>თვითშეფასების ანგარიში |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| - ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი და გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ შეიცვალა ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი შედეგები, თუმცა არა არსებითად, რადგან მხოლოდ მოხდა ფორმულირებების შეიცვლა მოთხოვნებიდან გამომდინარე. პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდა ახალი კლასიფიკატორის დეტალური სფეროს აღწერის შესაბამისად. ამასთანავე შედეგები გაიწერა ისეთი ფორმულირებით, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს მათი მიღწევადობის გაზომვადობას. ამასთანავე თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი სწავლის შედეგი ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კვლევით კომპტონზე მუშაობა შემდგნაირია, დოქტორანტურის ჩარიცხვისას ხდება მის მიერ სამოტივაციო წერილის წარმოდგენა ინგლისურ ენაზე კვლევითი ინტერესის შესახებ. ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მესამე სემესტრში დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოზე დასამტკიცებლად წარადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის კანდიდატურა და სადისერტაციო თემის სათაური; (მუხლი 22. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი), სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდგომ დოქტორანტი ვალდებულია, ყოველი სემესტრის დასრულებისას წარმოადგინოს ანგარიში განხორცილებული სამუშაოს შესახებ წინასწარ დადგენილი ფორმის მიხედვით. ამასთანავე ხდება დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის დამტკიცება.

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტს უნდა ჰქონდეს შესრულებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო ECTS კრედიტების კომპონენტი და უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ერთ კონფერენციაში მონაწილეობა არ არის საკმარისი დოქტორანტურის კვალიფიკაციისთვის და საჭიროა მას ასევე მოეთხოვებოდეს საერთაშირისო პუბლიკაცია დარგის კვლევით გამოცემაში.

წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსების და სადოქტორო დებულების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო

| |
|---|
| კურსის და კვლევითი კომპონენტის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთანავე სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა<br>- პროგრამის სილაბუსები<br>- თვითშეფასების ანგარიში<br>- კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს დებულება და დისერტაციის დაცვის პროცედურა. |
| **რეკომენდაციები:**<br>- მიზანშეწონილია დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვოს საერთაშირისო პუბლიკაციის გაკეთება კვლევით გამოცემებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>⎱ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ არ შეცლილა პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისად პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დადგენილი იყო, რომ პროგრამა უზრუნველყოფდა, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.<br>წარმოდგენილ პროგრამაში არის 120 კრედიტის ოდენობის სადისერტაციო ნაშრომი და 60 კრედიტის ოდენობის სასწავლო კომპონენტი რომელიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ არ შეცლილა პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისად პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დადგენილი იყო, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამის განხორცილებისას იყენებენ მრავალფეროვან სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომლებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; თანამშრომლობითი სწავლება;
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; ელექტრონული სწავლება და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>⎫ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ არ შეცლილა პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისად პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დადგენილი იყო, რომ პროგრამით გათვალიწინებულ კურსებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.<br>პროგრამის თითოეული კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი შეფასების კომპონენტები და მეთოდი. თითოეულ კომპონენტს აქვს შესაბამისი ქულა ასევე წარმოდგენილია სრული და ნაწილობრივი ქულის მიღების კრიტერიუმები.<br>პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. |

სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასება პროგრამაში ხორციელდება განსხვავებულად.

შეფასების კომპონენტები სასწავლო კურსებისთვის დეტალურადაა გაწერილი პროგრამის სილაბუსებში, ხოლო კვლევით კომპონენტისთვის სადოქტორო დებულებაში.

წარმოდგენილი და გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეკონომიკის სადოქოტორო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

⎫ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ¬ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>¬ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>¬ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>¬ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტანდარტის კომპონენტის შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციისა და ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამის, მასში განხორციელებული ცვლილებებისა და მითითებული მტკიცებულებების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე, რათა შეფასებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან.<br><br>**დაწესებულებაში ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის სათანადოდ კვალიფიციური, შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო წლების განმავლობაში** |

**შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.**

**სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სულ 5 პერსონალია:** 1 პროფესორი (1 აფილირებული), 1 (1 აფილირებული) ასოცირებული პროფესორი, 1 (1 აფილირებული) ასისტენტ-პროფესორი და 2 მოწვეული ლექტორით.

**პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეა ხუთივე პერსონალი** (მათ შორის 3 პერსონალს აქვს დოქტორის ხარისხი დარგის მიმართულებით).

**პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან** სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელთა რაოდენობა რაოდენობა არის 6 პერსონალი. დაწესებულებამ ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე დამატებით გამოთხოვილი მასალების სახით წარმოადგინა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელების სია და მათი პირადი საქმეები. **6 სამეცნიერო ხელმძღვანელიდან მხოლოდ 1 არის მოწვეული პერსონალი, 5 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ 1 არის არააფილირებული პერსონალი,** კერძოდ: სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელებიდან 1 პერსონალი არის მოწვეული (უცხოელი) ხელმძღვანელი, 1 აფილირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენ-პროფესორი.

სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც ერთი აკადემიური პერსონალი ახორციელებს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არის 2.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა სასწავლო/კვლევითი კომპონენტის კონტექსტთან და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია/კვლევითი გამოცდილება დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით.

უნდა, აღინიშნოს რომ, 2018 წელს აკრედიტაციის ესპერტთა დასკვნაში სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ „... სტანდარტმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიწოდებას, არ დააკმაყოფილა ექსპერტთა ჯგუფი. პერსონალი საკმაოდ მცირეა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სათანადო მხარდაჭერა 5-დან 10 დოქტორანტისათვის, თუნდაც პროგრამის საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, კომპონენტები (4.1.) და (4.2.) შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". თუმცა, აკრედიტაციის საბჭომ (როგორც ეს სხდომის ოქმშია მითითებული) გარემოებათა შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ მე-4 სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ჰქონდათ როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მონიტორინგის დანიშნულების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტის შეფასება ჩაითვალა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ეკონომიკის სადოტორო პროგრამა და სილაბუსები;
- კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს დებულება;

- შპს-კავკასიის უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #187, 5.12.2018, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა და აკრდიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი https://eqe.ge/ka/decisions/9009/show.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის კონკრეტული მიზნით პერსონალის განახლება ან/და არსებული პერსონალის პროფესიული განვითარება არ განხორციელებულა.

მიმდინარე მონიტორინგის პროცესში არ მომხდარა დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაწესებულებაში არსებული მექანიზმისა და პოლიტიკის შეფასება.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მონიტორინგის დანიშნულების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტის შეფასება ჩაითვალა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>⎱ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესმა არ გამოიწვია მატერიალური რესურსის ცვლილების/განახლების/დამატების აუცილებლობა.<br><br>როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გარდა საუნივერსიტეტო რესურსებისა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების ფარგლებში (პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი არ ყოფილა).<br><br>მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა დაწესებულების მატერიალური რესურსებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემოს შეფასება. |

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მონიტორინგის დანიშნულების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტის შეფასება ჩაითვალა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის და მასზე თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში არ განხორციელებულა ისეთი ცვლილება, რაც გამოიწვევდა დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფას.

| |
|---|
| მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა დაწესებულების, ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტის, ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემების ფუნქციონირების შეფასება.<br><br>„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მონიტორინგის დანიშნულების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტის შეფასება ჩაითვალა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>⎫ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ⎫ | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26**

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის**

**ეკა გეგეშიძე**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის**

**ია ნაცვლიშვილი**